

ბავშვთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების საკანონმდებლო და
პრაქტიკული ასპექტები

გარიკ ბასენციან

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გარიკ ბასენციან

16.05.2021წ

აბსტრაქტი

დღევანდელ რეალობაში თითქმის ყოველდღიურად სხვადასხვა წყაროებიდან ვიგებთ ახალ ინფორმაციას ბავშვთა მიმართ ჩადენილ სქესობრივი დანაშაულების შესახებ. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მასშტაბით, აღნიშნული დანაშაულები კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება თავისი ხასიათიდან გამომდინარე. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს თუ რა საერთაშორისო სტანდარტები არსებობს ბავშვთა მიმართ ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით და რამდენად შეესაბამება მას საქართველოს კანონმდებლობა.

ნაშრომის წერისას მოხდა საერთო სასამართლოების არაერთი გადაწყვეტილების ანალიზი, თუ რამდენად შეესაბამება სასამართლო პრაქტიკა როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს. ნაშრომში გამოიკვეთა პრაქტიკული პრობლემები, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ბავშვთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების ეფექტურ გამომიებასა და აღკვეთას. მაგალითად სასამართლო პრაქტიკის კვლევისას გამოიკვეთა არასწორი კვალიფიკაციის ფაქტები როგორც პროკურატურის, ასევე თავად სასამართლოს მხრიდან. სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს საზოგადოების დამოკიდებულება ამ დანაშაულებთან მიმართებაში. ხშირად, როგორც წესი, ისინი არ უჯერებენ ბავშვების მონათხრობს მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ და ეს ყოველივე ბავშვების ფანტაზიის ნაწილი ჰგონიათ. ხშირად, სტერეოტიპული დამოკიდებულებები გააჩნიათ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებსაც, რაც ხელს უშლის დანაშაულის ეფექტურ გამომიებას.

მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რასთან დაკავშირებითაც ჩატარდა კვლევა ნაშრომის ფარგლებში და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

ნაშრომის კვლევისას პრაქტიკული ხარვეზების გარდა, გამოვლინდა საკანონმდებლო პრობლემებიც. მაგალითად როგორცაა გაუპატიურების შემადგენლობისათვის ძალადობის კომპონენტის სავალდებულო არსებობა. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები.

Abstract

Nowadays in our reality various sources are the deliverers of new information about sexual crimes against children almost daily. Taking into consideration the nature of the crime, it remains as a current top priority issue not only in Georgia but around the world. The paper serves the objective to present the international standards regarding sexual crimes committed against children and to what extent they comply with the legislation of Georgia.

Analysis of a number of decisions of the common courts were used during the writing of the paper, in order to clarify the compliance of the judicial practice with both - Georgian legislation and international standards. Practical problems that may act as an obstacle to the effective investigation and prevention of sex crimes committed against children are identified in the paper. For instance, the facts of incorrect qualifications by both the prosecutor's office and the court itself were revealed throughout the process of the judicial practice research. Public's attitude towards the crime is filled with confusion resulting into the frequent disbelief of children's stories about the violence committed against them, unconsciously protecting their minds by attributing the probable fact of crime to the children's imagination. Stereotypical attitudes are also common between the law enforcement circles therefore hindering the effective investigation of crime.

The psycho-emotional condition of children victims of violence is crucial to be discussed. The research was conducted within the framework of the paper and relevant recommendations were issued.

In the course of the study of the paper, In addition to practical shortcomings , legislative problems were also indicated. To specify, the mandatory existence of a violence component to the rape composition can serve as an example. In this regard, requirement translates itself into significant legislative changes.